ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 12

სხდომის ჩატარების დრო:

12 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, ბ.ხამაშურიძე, მ.სიმონიძე, ბ.ქებულაძე, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, დ.ფხაკაძე.

სულ: 35 წევრიდან - 25 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია. ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 10 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი გ.ლელაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქეები: გიორგი და ირაკლი ტურაბელიძეები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მოგესალმებით ბატონებო, მივესალმები მედიას, მოქალაქეებს, რომლებიც მობრძანდნენ დღევანდელ საკრებულოს სხდომაზე. გუშინ, საკრებულოს ელექტრონულ ფოსტაზე შემოვიდა შპს „ნიკოლოზის“ წარმომადგენლის, ქალბატონი ლელა ბასილაძის განცხადება. იგი ითხოვს საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლას და რეგლამენტის შესაბამისად შეგვიძლია დავუთმოთ ტრიბუნა. განცხადებაში მითითებულია, რომ ქალბატონს სიტყვით გამოსვლის სურვილი აქვს საკითხების განხილვამდე. მინდა გითხრათ, რომ როდესაც დავამთავრებთ დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვას, მზად ვართ ყველამ მოგისმინოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) „ბატონო ირაკლი, მინდა გითხრათ, რომ სამწუხაროდ, ქალბატონი ლელა ვერ ესწრება სხდომას გარკვეული მიზეზების გამო და მის ნაცვლად, მოვუსმენთ ბატონ გიორგი ტურაბელიძეს. თქვენთან გამოგზავნილ განცხადებაში იყო მითითებული, ბატონი გიორგიც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კი ბატონო, მე თხოვნა მექნება დეპუტატებთან, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებასთან და ასევე მედიასთან, რომ დაესწრონ ბოლომდე სხდომას და მოხდეს აღნიშნული საკითხის გაშუქება. საკრებულოს სხდომა მიმდინარეობს პირდაპირ ეთერში. ტრანსლირება იქნება უზრუნველყოფილი, თუ მედიის სხვა წარმომადგენლებსაც ექნებათ ბოლომდე დასწრების სურვილი, შეუძლიათ დაესწრონ და გააშუქონ ეს საკითხი. ვატყობ, რომ მაღალია ამ საკითხის მიმართ ინტერესი.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2023 წლის 12 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დღის წესრიგის პროექტიდან შემდგომი დაზუსტების მიზნით, ამოღებულ იქნა მე-7 საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგის პროექტი გადაინომრა თავიდან**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-4 საკითხის (**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“**) თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-5 საკითხის (**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“**) თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის № 412678348) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალების: „ბოტანიკური ბაღისა“ და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის

ბოტანიკური ბაღი - მედეას“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის № 412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის - „საცურაო აუზის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.კოსტავა, მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-4 საკითხის („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“) თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ“**

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული საკითხის განხილვა დასრულებული იყო 2023 წლის 29 ნოემბრის საკრებულოს რიგით 25-ე სხდომაზე, საკითხის შესახებ დამატებით დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ადრეც დავსვით კითხვა და ვთვლით, რომ აუდიტის ეს ანგარიში მშრალია. მაინტერესებს როდის დაიწყება საკრებულოში ასლების წარმოდგენა, რათა ჩვენც განვახორციელოთ ზედამხედველობა. ძალიან მნიშვნელოვანი ააიპ-ებია სამსახურების მიერ შემოწმებული. უნდა აღვნიშნო, რომ თავად სამსახურის ხედვები, როგორ უნდა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები, აბსოლუტურად სწორია. საინტერესოა რა რეკომენდაციები გაიცა, რა დარღვევები იყო, თუ გამოსწორდა და ასე შემდეგ. ერთადერთი რაც ვნახეთ ამ წლებში, იყო საბინაო სამსახურის არც თუ ისე

სახარბიელო დარღვევებზე საკმაოდ მძიმე დასკვნა. ამ დასკვნითაც თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ კვალიფიციურად იყო ამ სამსახურის საქმიანობა შესრულებული. უბრალოდ, მაინტერესებს, როდისთვის ველოდოთ საკრებულოში ამ დასკვნების შემოსვლას, რომ ჩვენც გავეცნოთ და შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო გიგა, მე არა ერთხელ აღმინიშნავს ეს საკითხი და ზოგადად აუდიტის სამსახურის მიმართ ჩემი დამოკიდებულება, ასევე, ის მოსაზრებები, რომლებიც სუბიექტურად მე გამაჩნია. აქ მთავარია, რომ ორგანული კანონმდებლობის დონეზე მას სრულად აქვს უფლება სწორედ ასეთი საქმიანობის განხორციელების. შესაბამისად, ქალაქის მერს აქვს იმპერატიული უფლებამოსილება საკრებულოს წარუდგინოს ან არ წარუდგინოს შესაბამისი აუდიტორული დასკვნები. ჩემი სუბიექტური აზრი თუ გაინტერესებთ, ვთვლი, რომ ორგანულ კანონშიც უნდა შევიდეს ცვლილება და საკრებულოსთან ანგარიშვალდებულება უნდა გაიზარდოს. ასეთი კარგი მაგალითი და პრეცენდენტიც არსებობს დედაქალაქის შესახებ კანონში, სადაც ცალსახადაა განმარტებული აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებები და მათ შორის, ანგარიშვალდებულების ნაწილი საკრებულოს წინაშე არის მაღალი. ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ სადეპუტატო შეკითხვით მივმართოთ სამსახურს და ქალაქის მერს, რათა წარმოგვიდგინონ აუდიტორული დასკვნები, მაგრამ აქაც იმპერატიული უფლებაა, რომ მერს შეუძლია ეს დასკვნები არ წარადგინოს საკრებულოს წინაშე. მე მესმის თქვენი ინტერესი და ამის მაგალითიც ახსენეთ, მაგრამ ჩვენ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა მექანიზმი უნდა გამოვიყენოთ, სადეპუტატო კითხვა იქნება ეს თუ ფრაქციის სხდომაზე დაბარება, მოვთხოვოთ ინფორმაცია, რომელიც შეეხება უშუალოდ აუდიტორულ ნაწილს და მათ მიერ განხორციელებულ შინაარსობრივ საქმიანობას. მე გთავაზობთ, რომ საკრებულოს რეგლამენტით, ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა რესურსი სრულად ამოვწუროთ. ფრაქციას გაქვთ ამის საუკეთესო საშუალება. დავიბაროთ შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელები, ქალაქის მერი, მერის მოადგილე და ვისაუბროთ აღნიშნულ საკითხზე. მაშინ, როდესაც ვმუშაობთ „USAD-თან“ ერთად საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერებაზე, ეს იქნება

საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ითანამშრომლოს საკრებულომ აღმასრულებელ რგოლთან და გაძლიერდეს მისი საზედამხედველო ფუნქციები. ერთ-ერთი და საუკეთესო რეკომენდაცია, რომელიც მივიღეთ არასამთავრობო სექტორიდან და სხვადასხვა ექსპერტული წრეებიდან, იყო ის, რომ საკრებულომ ბოლომდე უნდა გამოიყენოს არსებული ზედამხედველობის მექანიზმები და მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქროთ ახალი მექანიზმის შემოტანასა და დანერგვაზე საკრებულოს რეგლამენტში. საერთო ჯამში მოგყვებით ლოგიკაში, მესმის, რომ ოპოზიციისთვის საინტერესო საგანია აუდიტორული დასკვნები, თუმცა, არსებობს სახელმწიფო აუდიტის დასკვნა, რომელიც მათ შორის თქვენი წინადადებით, გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, სადაც მიმდინარეობს გამოძიება, ამიტომ საკრებულომ პოლიტიკური შეფასებებიდან შეიკავა თავი“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) : „ბატონო ირაკლი, ჩვენ ყველანაირი რესურსი ამოწურული გვაქვს. მერსაც რამდენჯერმე მივმართეთ წერილით, რომელსაც აუცილებლად გამოვაქვეყნებ და მივიღეთ პასუხი, რომ თურმე კერძო აუდიტორული საქმიანობის შესახებ კანონი მერს უკრძალავს დეპუტატისათვის ინფორმაციის მიწოდებას, ანუ კერძო აუდიტორთან გააიგივა თავისი თავი. თვეებია მერი არ ჩნდება საკრებულოს სხდომებზე და არ პასუხობს დეპუტატების კითხვებს. როგორ ფიქრობთ, ფრაქციის სხდომებზე მოვა? ჩვენ კონკრეტულად მასთან გვქონდა შეკითხვები. მე ვიცი თქვენი პოზიციებიც და კომისიებზე რა რეკომენდაციებიც გაეცით. პირადად თქვენი ინიციატივებიც იყო და ჩვენც დაგიჭირეთ მხარი. გეთანხმებით იმაში, რომ ბევრი რამ გამოსწორდა ამ მიმართულებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე არ მახსოვს, რომ ყოფილიყო ფრაქციის მხრიდან წერილი კონკრეტული სამსახურის უფროსის ფრაქციის სხდომაზე დაბარების თაობაზე. მე გთავაზობთ არსებული მექანიზმების აქტიურად გამოყენებას. თუ შესაბამისი სამსახურის უფროსი არ მოვა ფრაქციის სხდომაზე, ესეც თქვენი არგუმენტი იქნება, რომელიც იმუშავებს თქვენს სასარგებლოდ. დღეს, სხდომაზე გვესწრება ვიცე მერი, ბატონი დავით

ერემეიშვილი და მას სავსებით კომპეტენტურად შეუძლია გასცეს პასუხი ნებისმიერ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვას. ასევე, სრულად ესწრებიან სამსახურის ხელმძღვანელები, თუ ჩვენი ჩართულობაც იქნება საჭირო, მაქსიმალურად ვართ მზად.

განვმარტავ, რატომ დავაყენე საკითხი განმეორებით კენჭისყრაზე. საკრებულოს წინა სხდომაზე მოხდა გარკვეული შეფერხება. საკითხი განხილულ იქნა წინა სხდომაზე, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ საკითხის კენჭისყრაზე დაყენების დროს არ იყო ქვორუმი, აღნიშნული საკითხის თაობაზე ვერ იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. ვისარგებლე რა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტით მონიჭებული უფლებით, კენჭისყრის პროცედურა გადავდე საკრებულოს უახლოესი სხდომისათვის. აქედან გამომდინარე, ვაყენებ საკითხს კენჭისყრაზე განმეორებით.“

ამის შემდეგ, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილულ, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-4 საკითხთან (**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“**) დაკავშირებით, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა, ქალბატონმა ხ.არველაძემ, ბატონებმა: გ,კილაძემ, რ,ქვაჩაკიძემ, გ.მანაგაძემ, გ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის**

ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“ მიღებულ იქნეს **განკარგულება** ცვლილების გარეშე, 2023 წლის 29 ნოემბერს, საკრებულოს 25-ე სხდომაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“ განკარგულების პროექტი და **განკარგულება № 251** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-5 საკითხის („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“) თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ“**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე - 5 საკითხთან (**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“**) დაკავშირებით, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა, ქალბატონმა ხ.არველაძემ, ბატონებმა: გ.კილაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, გ.მანაგაძემ, გ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომაზე, 2023 წლის 29 ნოემბერს განხილული, ამ სხდომის დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“** მიღებულ იქნეს **განკარგულება** ცვლილების გარეშე, 2023 წლის 29 ნოემბერს, საკრებულოს 25-ე სხდომაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელის, **ლანა სვანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი და **განკარგულება № 252** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ: „მ/წლის პერიოდში, ეს უკვე მე-5 ცვლილებაა. მომავალი წლის პირველ კვარტალში მოვისმენთ ანგარიშს 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ, რომელსაც წარმოადგენს მერიის შესაბამისი სამსახური. მიმაჩნია, რომ ის მოცულობის ფისკალური რესურსი, რომელიც 2023 წლის ბიუჯეტში იყო ასახული, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონების ინტეგრირებულმა განვითარების პროგრამამ, რომელიც ევროკავშირის მიერ იქნა დაფინანსებული. 30 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი ინფრასტრუქტურაზე. მადლობა ბატონო დავით, მე ყოველთვის განსაკუთრებულად მიმაჩნია თქვენი სამსახურის საქმიანობა. ის მიდგომები და დამოკიდებულება, რომელიც თქვენს სამსახურს გააჩნია, არის გამორჩეული და აღმასრულებელ ნაწილში ვფიქრობ, რომ ხართ სამაგალითო სამსახური.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, წინააღმდეგი: 3 წევრი, ქალბატონი ხ.არველაძე, ბატონები: გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 3-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, **დავით ნიშნიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის

№55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №77** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი 2023 წლის 12 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**შეიცვალა დადგენილების დანართის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, გარდა დადგენილების დანართის 21[1] მუხლის მე-4 პუნქტისა, აღნიშნული პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის პირველი** იანვრიდან.“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელია: „სწორედ ამ პროგრამის საშუალებით მოხდა ქალაქში პარკირების ადგილების გამოყოფა, მოწყობა და შესაბამისი დანადგარებით უზრუნველყოფა. მე ვფიქრობ, ეს კარგი მაგალითია წავახალისოთ ასეთი ტიპის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ასევე ის მძღოლები, რომლებსაც ჰყავთ ელექტრო მობილები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია

კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 12 დეკემბრის **№ 78 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №78** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 12 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში, გასაცემი ობიექტების ნუსხისათვის დასამატებელი №490 - №493 პუნქტები შეიცვალა №490 - №492 პუნქტებით; განკარგულების პროექტის დანართიდან ამოღებულ იქნა 493-ე პუნქტი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის

ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა, ქალბატონმა ხ.არველაძემ, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩკიძემ, გრ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 12 დეკემბრის **№ 253 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება № 253** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 12 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის მე-2 მუხლში გასაცემი ობიექტების გეგმისათვის დასამატებელი №238 - №241 პუნქტები შეიცვალა №238 - №240 პუნქტებით; განკარგულების პროექტის დანართიდან ამოღებულ იქნა 240-ე პუნქტი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი, ხ.არველაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩკიძემ, გრ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 12 დეკემბრის **№254 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**განკარგულება №254** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 12 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი, ხ.არველაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 2-მა წევრმა, ბატონებმა: გრ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 12 დეკემბრის **№ 255 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა №1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №255** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2023 წლის 12 დეკემბრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი

თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) : „თუ სწორად მახსოვს, ეს საკითხი ადრეც განვიხილეთ, ამ ქალბატონს იჯარით ჰქონდა აღებული და ახლა შედის ცვლილება. თებერვლის შეთანხმება რას ნიშნავს? მე მაინტერესებს, რატომ ვაქირავებთ და არ ვყიდით. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, ეს ადგილი გავყიდოთ აუქციონის წესით, საკმაოდ კონკურენტული ადგილია, მეტი თანხა შემოვა ბიუჯეტში, თავად გაარემონტებენ და როგორც „კეჩის“ ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეები აკეთებენ, ისე გააკეთებენ ესენიც. მითუმეტეს, 20 წლიანი ვადით ვაძლევთ ამ ადამიანს. საიდან განსაზღვრეთ ეს 20 წელი? ზოგს 10 წლით ვაძლევთ, ზოგს 2 წლით. საიდან საზღვრავთ ამ ვადებს და საშეღავათო პირობებს? არც ჩვენი და არც მუნიციპალიტეტის ინტერესებში არ შედის ყოველ წელს გავაქირაოთ ესა თუ ის შენობები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გეთანხმებით ბატონო გიგა, მხოლოდ ერთ ნაწილში, თქვენ საუბარი გქონდათ ქონებაზე და მაშინ, როდესაც ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, თქვენი პოზიცია იყო, რომ ჩვენი საქმე არ იყო თითოეულ ამ ადამიანს გავუფორმოთ იჯარის ხელშეკრულება და ეს საქმიანობა განახორციელოს კონკრეტულმა სამსახურმა. თქვენ ძალიან კარგად იცით კანონმდებლობა და ის, რომ იჯარა ხელს არ უშლის ქონების გასხვისებას. თუ ასეთი საკითხი დადგება, ადგილობრივი თვითმმართველობა, განცხადების საფუძველზე, აუცილებლად გამოიტანს ქონებას გასაყიდად. მე მინდა თქვენ გაგახსენოთ, რომ ჩვენ მაშინ მივიღეთ გადაწყვეტილება და კონკრეტულ მეიჯარეებს სათითაოდ გავუფორმეთ კონკრეტული დახლები იჯარით. ის ქონება სამჯერ გამოვიდა აუქციონზე, ის იყო სწორედ ამ შენობის შემადგენელი ნაწილი და არანაირი ინტერესი

ბიზნეს სექტორმა არ განახორციელა. აუქციონი ვერ შედგა და სამივეჯერ ჩავარდა. იქ არის კატასტროფული მდგომარეობა. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა და მოქალაქეები, რომლებიც იქ ეწევიან ბიზნეს საქმიანობას, არიან გამორჩეულად ცუდ პირობებში. გამოჩნდა კონკრეტული ბიზნეს სუბიექტი, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას, რომ მოაწესრიგებს და იქ განახორციელებს ბიზნეს საქმიანობას. თქვენ ასევე ამბობთ, რომ ვჩუქნით. არა, არ ვჩუქნით. თქვენ შეგიძლიათ ჩახედოთ სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს შეფასებას, რომელიც საკმაოდ მაღალია, 130 ათას ლარამდეა ამ კონკრეტული მიწის ნაკვეთის ფასი, დავთვალოთ 18 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტი 8%-ის პირობებში ყოველწლიურად რამდენ შემოსავალს მიიღებს. რაც შეეხება 2 წლის უზუფრუქტს, ამაში მოგყვებით, მაგრამ კონკრეტულ ბიზნეს სუბიექტს რომ ჰქონდეს ამ ტერიტორიის ინვესტიციის ინტერესი, ვუკეთებთ გარკვეულ შეღავათს. თქვენც თუ გამოიჩენთ ინტერესს, თქვენს ბიზნეს წრეებშიც შეუძლიათ დაინტერესდნენ ამ ქონებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „კომისიის სხდომაზე ამ საკითხის ირგვლივ ბევრი ვისაუბრეთ და განსხვავებული შეხედულებებიც იყო ამ თემასთან დაკავშირებით. ჩემთვის საინტერესო იქნებოდა ქალაქის მერის პასუხის მოსმენა ამ საკითხთან დაკავშირებით იმიტომ, რომ ეს ადამიანი ქუთაისის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს გასცემს ოცწლიანი იჯარით. ფაქტია, ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით არის ინტერესი, მოგვმართა მოქალაქემ. ჩვენ რა გვიშლის ხელს იმაში, რომ გამოვიტანოთ აუქციონზე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „სწორედ ამ საკითხზე გააკეთა განმარტება ბატონმა ირაკლიმ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ბატონმა ირაკლიმ განმარტება გააკეთა მის მომიჯნავე ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში 680 კვ.მ.-ზე მოგვმართა მოქალაქემ, ანუ ამ ტერიტორიასთან მიმართებაში არის დაინტერესება.

დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნა, ფართი გავიტანოთ აუქციონზე და ეს ქალბატონი ან მოიგებს ან წააგებს. არის ამაში რაიმე პრობლემა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე აბსოლუტურად მოგყვებით მაგ ლოგიკაში, რომ აუქციონის წესით შეიძლება იჯარის ფორმით განკარგვის ნაწილი მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტოს. მე მოგიყვანეთ მაგალითი, რომ ის ქონება იყო ამ ქონების შემადგენელი ნაწილი, უბრალოდ, ერთმანეთის მომიჯნავედაა. მაშინ ინტერესი არ გამოუჩენია არავის და მოგვიხდა პიროვნულად გაგვეცა იჯარით. არც ეს ფორმა არ არის უკანონო. იგივე პირობით შეგვიძლია გამოვიტანოთ ეს ადგილიც აუქციონზე, მაგრამ არც ამ შემთხვევაში არ ვარღვევთ კანონს. ჩვენ მერს ვაძლევთ თანხმობას და შესაბამისად მერი უფორმებს ხელშეკრულებას ბიზნეს სუბიექტს. იმ ხელშეკრულებაში რას ჩადებს მერი, შეგვიძლია ერთად ვნახოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „რა მოთხოვნებს უწესებთ ან რა უნდა გააკეთოს ამაზეც ვისაუბროთ, ესეც ბუნდოვანია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რა არის ბუნდოვანი თქვენთვის, დასვით კითხვა და გიპასუხებთ შესაბამისი სამსახური ან მე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „მაინტერესებს რა იგულისხმება კეთილმოწყობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ინფრასტრუქტურის მოწესრიგება“ შინაარსს თუ განვიხილავთ მაგ სიტყვის მნიშვნელობისას, ეგ არის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მაინტერესებს ბატონო ირაკლი, სტატისტიკურად რამდენი განცხადებაა შემოსული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ამ კონკრეტულ ქონებაზე პირველი განცხადება შემოსულია 7 თვის წინ მაისის თვეში. მას შემდეგ კიდევ დაფიქსირდა სამი თუ ოთხი განცხადება. ეს საკითხი ქონების კომისიაზეც იყო განხილვის საგანი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) **:** „14 ოქტომბერს არის განცხადება შემოსული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „ეს უკვე მეორე განცხადებაა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი, ხ.არველაძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 6-მა წევრმა, ბატონებმა: კ.გურულმა, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, რ.ქვაჩაკიძემ, გ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის

სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 12 დეკემბრის **№256 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №256** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412678348) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალების: „ბოტანიკური ბაღისა“ და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს საკითხი და მეათე საკითხიც იდენტურია და შეეხება რეორგანიზაციას. თანმდევი პროცესებიდან გამომდინარე მაინტერესებს, მოხდება საშტატო ნუსხის გაზრდა თუ შემცირება და შესაბამისად, მაინტერესებს ფინანსური კუთხითაც ორგანიზაციის ბიუჯეტი გაიზრდება თუ შემცირდება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პეტრე ადამაძე:** „პირველ რიგში, მოგახსენებთ მიზანთან დაკავშირებით. რეორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს ქუთაისის ბოტანიკური ბაღი „მედეას“ დაფუძნება იურიდიულ პირად, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ფონდებიდან ფინანსების მოძიებაში. ის იქნება იურიდიული პირი და მას შეეძლება მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო ბოტანიკური ბაღების გაერთიანებაში გაწევრიანებაში. თბილისისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღები მზად არიან გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება. აღნიშნული ორგანიზაციის დაფინანსების წყარო იქნება ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. რაც შეეხება რეორგანიზაციის თანმხლებ პროცესებს, ეს კანონში მკაფიოდ არის გაწერილი, რომელიც უნდა გაიაროს ააიპ-მა თავისი იურიდიული პასუხისმგებლობის ფარგლებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მაინტერესებს კონკრეტულად საშტატო ნუსხასთან დაკავშირებით, გაიზრდება თუ შემცირდება? შესაბამისად, ფინანსური კუთხით, ბიუჯეტი გაიზრდება თუ შემცირდება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პეტრე ადამაძე: „ამ ეტაპზე პასუხს ვერ გაგცემთ. მას შემდეგ რაც საკრებულო დაამტკიცებს საკითხს, ააიპი იმუშავებს აღნიშნულ საკითხზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ყველაფერი ერთად უნდა შემოსულიყო ჩვენთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „გინდათ თქვათ, რომ ვაფუძნებთ ორგანიზაციას და არ ვიცით რამდენი იქნება მისი ბიუჯეტი?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პეტრე ადამაძე:** „ამ ეტაპზე რეორგანიზაციის პროცესი მოითხოვს საშტატო ნუსხის ჩამოყალიბებას. საკითხი საბოლოო დამუშავების პროცესშია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „როგორც ვიცი, 139 მილიონია ქუთაისის ბიუჯეტი, ამ ააიპ-ის დაფინანსება რომ დაჯდეს 140 მილიონი, საიდან ვიხდით ამ თანხას? ჩემი აზრით, ეს ყველაფერი უკავშირდება ერთ თემას. ვინაიდან 2024 წელი არის საარჩევნო წელი, აქედან გამომდინარე, ისევ მოხდება ამ ააიპ-ებში ოცნების კოორდინატორების დასაქმება და გამოყენება არჩევნებში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „ეს ააიპი შეეცდება მოიძიოს დამატებით დაფინანსების წყაროები. ამის შემდეგ ის თავად გადაწყვეტს დასჭირდება თუ არა თანამშრომლების დამატება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თავის დროზე, როდესაც მივიღეთ ააიპ-ების დამსხვილების გადაწყვეტილება და მეც გახლდით მაშინ საკრებულოს წევრი, ეს რაღაც მიზანსა და შედეგზე უნდა გასულიყო. მაშინ სახელმწიფო აუდიტმა, რომელიც ააიპ-ების რესტრუქტურიზაციასა და გამსხვილებას ეხებოდა, პოზიტიურად შეაფასა ჩვენი პრეცენდენტი და საკმაოდ კარგი დასკვნა ჩამოაყალიბა. როდესაც მივდივარ ბოტანიკურ ბაღში და ვხედავ იქ დასაქმებულ ადამიანებს, მათ შორის, მათ, ვინც ფიზიკურად შრომობს, ვფიქრობ, რომ ერთიანად ამხელა სტრუქტურის კულტურის ააიპ-ის მიერ ადმინისტრირება პოლიტიკურად არის

მიუღებელი. მაშინ, როდესაც მაგალითად, მებაღე მიიღებს გადაწყვეტილებას შეიძინოს ნერგი, მან კულტურის ააიპ-ის ხელმძღვანელს ამაზე ნებართვა არ უნდა სთხოვოს. ამის ადმინისტრირება უნდა შეეძლოს ბოტანიკურ ბაღს. თქვენ საუბრობთ შემოსავალზე. იცით თუ არა რამდენია ბოტანიკურ ბაღში შესვლის საფასური? რამდენიმე სხდომის უკან მივიღეთ გადაწყვეტილება და მოისინჯა თუ როგორ იმუშავებდა გაზრდილი საფასური ბოტანიკური ბაღის შემოსავლებზე. მინდა გითხრათ შემოსავალი გასამმაგდა. მან უკვე შეძლო თავისი თავის ფუნქციონირების უზრუნველყოფა და რეალურად სუბსიდირების ნაწილი შეიძლება იყოს მინიმალური. დღეს ჩვენ ვიღებთ მისი ცალკე ააიპ-ად გასვლის გადაწყვეტილებას, მე ვფიქრობ, დავეთანხმები ამ გადაწყვეტილებას და ასევე, აუზის თემასაც. ბოტანიკური ბაღი და სამუსიკო სკოლა ერთმანეთთან არანაირ კავშირში არაა, ამიტომ ამ გადაწყვეტილებას მე და დარწმუნებული ვარ უმრავლესობა, მხარს დავუჭერთ. მე ვიცოდი თქვენ რა არგუმენტიც გექნებოდათ არჩევნებთან დაკავშირებით, ამიტომ დავთვალოთ დღეს რამდენი საშტატო ერთეული აქვს და რამდენი ექნება ხვალ როგორც ააიპ-ს. ვნახოთ რამდენი იქნება სხვაობა მეტობით და ეს 6 ან 10 ადამიანი თუ გავლენას მოახდენს 2024 წლის არჩევნებზე, მე ორივე ხელს ავწევ და დაგეთანხმებით. მე გაძლევთ პირობას, რომ გამოვითხოვ ინფორმაციას თუ რამდენი პირი იქნება დასაქმებული იმ დროისათვის ააიპ-ში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 3 წევრი, ბატონები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, რ.ქვაჩაკიძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა, ქალბატონმა ხ.არველაძემ, ბატონებმა: გ.შუშანიამ, ლ.შალამბერიძემ, კ.გურულმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის **პეტრე ადამაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412678348) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალების: „ბოტანიკური ბაღისა“ და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №257** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის - „საცურაო აუზის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ამ ნაწილშიც

იგივე შეკითხვა მაქვს. ჩემი აზრით, უფრო ცხადი უნდა იყოს თუ რას მოიტანს ეს რეორგანიზაცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ნამდვილი ფუფუნებაა ქალაქში ასეთი ტიპის ინფრასტრუქტურის გაჩენა. მე ყოველდღიურად ვუყურებ იქ მოცურავე ახალგაზრდა თაობას, რომლებიც ამ აუზით სარგებლობენ. მართლა აღფრთოვანებული ვარ იმ დამოკიდებულებით, რაც განაპირობა ქალაქში ამ ინფრასტრუქტურის გაჩენამ. ახალგაზრდა, ჯანსაღი თაობა, რომელიც იქ სწავლობს ცურვას, მართლაც კარგი სანახავია. ამ აუზს ხელმძღვანელობს საკმაოდ ღირსეული პროფესიონალი, ბატონი მიხეილ გიორგაძე. მინდა პატივისცემა გამოვხატო და მადლობა გადავუხადო მას, რომ მიიღო გადაწყვეტილება, ჩამოვიდა და სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ აუზს. მისი ხელმძღვანელობით ქალაქში ჩამოყალიბდება გუნდი, რომელსაც ექნება შესაბამისი მხარდაჭერა ფედერაციიდან. დღეს ჩვენს აუზზე სტუმრად იყვნენ საუდის არაბეთიდან, რომლებიც იქ განახორციელებენ აქტივობას და ივარჯიშებენ. ეს არის ბატონი მიხეილის დამსახურება. მინდა მადლობა გადავუხადო მას და იქ მომუშავე ყველა ადამიანს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბავშვობიდან ვარ წყალბურთისა და წყალბურთელების გულშემატკივარი. ყოველთვის გამიხარდება ამ სახეობის განვითარება. კარგია, საუდის არაბეთიდან ჩამოსულები რომ ვარჯიშობენ. მანამდე ვნახე თბილისელები ვარჯიშობდნენ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ქუთაისელ წყალბურთელებს 150 ლარის გადახდა უწევთ, რომ ივარჯიშონ, მათ შორის, ნაკრების წარმომადგენლებსაც. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველა მშობელს არ აქვს ამის ფინანსური საშუალება. მოგეხსენებათ, რომ ცნობილი წყალბურთელების უმრავლესობა შეჭირვებული ოჯახებიდან იყო. დიდი სიამოვნებით დავუჭერ მხარს ამ გადაწყვეტილებას თუ ქუთაისის ბიუჯეტიდან ასაკობრივი ნაკრებებისთვის მაინც დაფინანსდება იქ ვარჯიში და აუზმა რომ არ იზარალოს, ჩვენ მაინც გადავურიცხოთ მათ იჯარის თანხა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „სოციალურ ნაწილში აბსოლუტურად გიერთდებით და იგივე პოზიციაზე ვართ უმრავლესობა. ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებზე, რომელთა სუბსიდირებაც მოხდება აუზზე, მათ შორის სხვადასხვა სახეობების. იქ არ არის მხოლოდ წყალბურთი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „როგორც „ტორპედოს“ სტადიონზე ვარჯიშის უფლებას ვაძლევთ ახალგაზრდულ ნაკრებს, ასევე მივცეთ აუზში ვარჯიშის უფლება ასაკობრივ ნაკრებებს, რომ განვითარდნენ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დამოუკიდებელი იურიდიული პირი რომ იქნება, ყველაფერს განვიხილავთ ერთობლივად. ახლა სამი სტრუქტურა უნდა გაიაროს გადაწყვეტილების მიღებამდე. მე მახსოვს 2018 წელს ჩვენი მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სპორტულ დაწესებულებებში ბავშვების სწავლის საფასურის გაუქმებას ეხებოდა. ჩვენ მივიღეთ საფასურის გაუქმების გადაწყვეტილება მაშინ და მაგ ნაწილში ახლაც დავუჭერ მხარს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“): „წინა სხდომაზე იყო ინიციატივა. მინდა გითხრათ, რომ ხერხემლის ძვლის დაავადებებთან დაკავშირებით, ბატონ ზურაბ ხაბეიშვილთან (სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის ცნობილია მისი პროფესიონალიზმი) გავიარე კონსულტაციები. ქალაქში არის დაახლოებით, 50 მოზარდი, რომლებისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს შესაბამისი ცურვითი თერაპია ხერხემლის სწორად განვითარებისათვის. ვიმედოვნებ, რომ შემდეგი წლიდან საკრებულოს სხდომაზე შემოვიტან დაკონკრეტებულ წინადადებას რა ფორმით უნდა მოხდეს და როგორ. დაინტერესება გამოთქვა ბატონმა ზურაბმა, ჩაერთვება პროცესში, რომ ვისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს წყლის სამკურნალო თერაპია, გარკვეული

დახმარება და კონსულტაცია გაუწიოს. თუკი ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ ამ 50 ბავშვს დავუფინანსოთ აღნიშნული მკურნალობა, მისასალმებელი იქნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: მ.ნიჟარაძე, თ.ჯუღელი, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი, გ.კილაძე, რ.ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 22 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი, ბატონი გ.მანაგაძე), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, **პეტრე ადამაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის - „საცურაო აუზის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №258** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, სხდომაზე **განცხადება** გააკეთა მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძემ,** რომლის გამოსვლაში სხვადასხვა დროს, ჩაერთვნენ საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები.

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე**: „მოგესალმებით საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას. პირველ რიგში მინდა ჩემი უკმაყოფილება გამოვხატო როგორც რიგითმა მოქალაქემ. იმ საკითხს, რომელზეც მე მინდა გესაუბროთ, ნამდვილად უნდა ესწრებოდეს ქალაქის მერი და მერის მოადგილე იუზა უგულავა, რათა შესაბამისი რეაქციები და

კითხვებზე პასუხები გვქონდეს ჩვენც და მოქალაქეებსაც. ტრიბუნაზე გამოსვლა ჩემი ყოველდღიურობა არ არის და ცოტას ვღელავ, მაგრამ ყელაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ჩემთან მიმართებაში და იმასთან დაკავშირებით რაც დღეს ქალაქის ცენტრალურ ბაღში ხდება, სამართალი დადგეს. რამდენიმე ტომადაა შეკრული კაფე „სავანესთან“ დაკავშირებული პრობლემა, მაგრამ შევეცდები რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწილი ამოვიღო. 1995 წელს ამხანაგობა „მაგნოლიამ“ შეიძინა დღეს არსებული კაფე-ბარი „სავანე“, მანამდე იყო სანაყინე პავილიონი, ის იყო ბამბუკებით შეფუთული მყარი შენობა. 1996 წელს ამ შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. მე ხელთ მაქვს 1995 წლის საკუთრების მოწმობა, რომლის მიხედვითაც შეძენილ იქნა კაფე (121.69კვ.მ.) ქუთაისის ცენტრალურ ბაღში, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ჩვენ საქმეში არსებობს საკუთრების მოწმობა. ეს არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც ადამიანს ანიჭებს მნიშვნელოვან უფლებას, ეს არის ქონებისა და საკუთრების უფლება. ეს უფლება, არა მარტო დღევანდელი, სხვა ხელისუფლებების დროსაც მნიშვნელოვნად დაირღვა. ადრე, როგორც იცით, არ არსებობდა მიწაზე საკუთრების უფლება, ყველა მიწა სახელმწიფოსი იყო, როგორც დღეს ამერიკაშია, თუმცა, მიწის ყიდვა-გაყიდვა ხდება. მიწასთან დაკავშირებით კანონის შემოსვლის შემდეგ სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას ჩვენ საკითხზე მიწის თემა დაერეგულირებინა, რაც არ გააკეთა. 1995 წელს, მამაჩემი იყო გაერთიანების დირექტორი და როგორც გაერთიანების და ზოგადად დირექტორები აკეთებდნენ მაშინ, 10 ათასი დოლარი გადავიხადეთ და იმ დროს ეს თანხა არც ისე მცირე იყო. მერიის იურისტი პროცესზე გვეუბნება, რომ ამ თანხით ჩვენ შევიძინეთ მაცივრები და ბამბუკები. 10 ათას დოლარად დღეს არ შევიძენ ნაყინისთვის მაცივარს და მით უმეტეს მაშინ, როცა ჩემი ოჯახი აკეთებდა მაცივრებს დასავლეთ საქართველოში. ჩვენ შევიძინეთ კონკრეტული ქონება, რომელსაც სახელმწიფო არ ითვალისწინებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ეს 10000 დოლარი სახელმწიფო ხაზინაში შეიტანეთ და ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც გაქვთ?“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „რა თქმა უნდა, ყიდვა-გაყიდვის ყველა აქტი არსებობს ჩვენს საქმეში. ყველა დოკუმენტს მოგაწვდით. შეძენილ შენობას ჩავუტარეთ

რეკონსტრუქცია, რა თქმა უნდა, მერიასთან შეთანხმებით. მერიის მოთხოვნა იყო, რომ ეს გამხდარიყო მყარი შენობა და ეფუნქციონირა როგორც ზამთარში, ასევე, ზაფხულში ღია, ბუნებრივი სიგრილის პირობებში. ვინც იცით ეს შენობა, გეცოდინებათ, რომ ყველა ვიტრაჟის კარი იღება, მოქმედია და წლების განმავლობაში ვემსახურებოდით როგორც ქუთაისელებს, ასევე, ტურისტებსაც, თუ არ ჩავთვლით ბოლო 5 წელს, რაც მერიიდან და სახელმწიფოს მხრიდან განვიცდით ზეწოლას. ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი ხუმრობდნენ, რომ კაფეში პატარა საელჩო იყო გახსნილი. ამის შემდეგ მივდივართ იქამდე, რომ 2012 წლის აზომვით ნახაზზე კაფე-ბარი „სავანე“ არ არსებობს. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. ეს იგივეა თქვენ რომ მიიყვანოთ სახლში ამზომველი და ეზოში არსებული ავტოფარეხი გააქროთ აზომვითი ნახაზიდან. ეს არის საკმაოდ მძიმე დანაშაული. ამ საბუთის მიხედვით მეპატრონეს შპს „ნიკოლოზს“ და კაფე-ბარ „სავანეს“ ართმევენ ქონებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ ეს ქონება დაარეგისტრირეთ საჯარო რეესტრში?“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „როდესაც მამაჩემმა მიიტანა საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად, გაუკეთეს ზედდება. ამ ყალბი დოკუმენტის საფუძველზე საჯარო რეესტრი დღემდე არ გვირეგისტრირებს. მივმართეთ სასამართლოს, პროკურატურას. 2018 წლიდან დღემდე გასულია 5 წელი, პროკურატურას ეს საკითხი უდევს და პროკურორი მე მეკითხება რატომ არ გამოიძია ეს საკითხი გამომძიებელმა. ეს საქმე რიგით გამომძიებელს, ბესო ბრეგაძეს დღემდე უდევს მაგიდაზე. თუ ეს საქმე გამოსაძიებელი არ არის, მაშინ უკვე დახურულიც უნდა იყოს. როგორ შეიძლება 5 წლის განმავლობაში იდოს სისხლის სამართლის საქმე, არავინ იძიებდეს და დღეს მეუბნება პროკურორი, რომ ვადა აქვს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენს მიერ წარმოდგენილ საბუთებზე დაყრდნობით საჯარო რეესტრმა აღიარა თუ არა ეს ტერიტორია თქვენ საკუთრებად?“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „საჯარო რეესტრმა ეს ტერიტორია აღიარა ქუთაისის მერიის საკუთრებად გაყალბებული ნახაზის საფუძველზე, რომელზეც დღემდე არ არსებობს კაფე „სავანე“.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ნახაზი 5 წელია გაქვთ გასაჩივრებული პროკურატურაში?“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „არა მარტო პროკურატურაში, სასამართლოშიც, მაგრამ ყველაფერზე იმსჯელა სასამართლომ ამ საკითხის გარდა. ნახაზზე, რომელზეც შენობა გამქრალია. კულუარებში ყველა თანხმდება, რომ გაყალბებულია, მაგრამ... ამ ნახაზის მიხედვით ირღვევა მნიშვნელოვანი კონსტიტუციური უფლება. აქ წერია ვისი შესრულებულია ეს ნახაზი, მაგრამ ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ვინ გააყალბა. ნახაზის გაყალბება და გაყალბებული ნახაზით მოქმედება ჩემთვის ერთნაირი სიმძიმის დანაშაულია. ამ ნახაზის საფუძველზე, რომ ქონებას მართმევენ, ეს კიდევ უფრო დიდი დანაშაულია, მაგრამ ამას შეთანხმებულად აკეთებენ სახელმწიფო უწყებები. ბევრი ვიცი უკვე ვისაც შეუვარდნენ სახლებში და კიდევ მეტს შეუვარდებიან, როგორც მე ამ შემთხვევაში. ამ მნიშვნელობისა და სიძველის ობიექტი როგორც მახსენდება, ორად ორია დარჩენილი ქალაქში და მე არ მეგულება ქუთაისში ადამიანი, რომელსაც ამ სანაყინეში არ ეჭამოს ნაყინი და ასევეა „ბიკენტიას საქაბაბე“, რომლებიც სახეს უქმნიან ამ ქალაქს. ამ ობიექტის დანგრევის საკითხი არის ყოვლად დაუშვებელი. ჩვენ ვართ განერვიულებული, ვერავის გავაგონეთ ჩვენი ხმა და ცოტა ხმამაღლა გვიწევს საუბარი. ვფიქრობ, თქვენ, როგორც დეპუტატებს, მეტი ჩართულობა გმართებთ. თქვენ მეტად უნდა ინტერესდებოდეთ ამ საკითხით. მე ვარ მოსული, რომ განახოთ გაყალბებული დოკუმენტები და ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მთავრობის დროს მოხდა ეს, მთავარი არის ის, რომ ამ გაყალბებული საბუთების მიხედვით მე დღეს მართმევენ ქონებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ საკრებულოსგან ითხოვთ ქონების აღიარებას. საკრებულო არ არის ის სტრუქტურა, რომელიც გიღიარებთ ქონებას. ქონების აღიარებისთვის არსებობს

2 სტრუქტურა: საჯარო რეესტრი და სასამართლო. მე თქვენ გისმენთ იმიტომ, რომ საკრებულო ვალდებულია მოუსმინოს მოქალაქეს და თქვენ გქონდეთ საშუალება თავისუფლად მიმართოთ დეპუტატებს. მაშინ რაც იყო ბამბუკებით შეფუთული და ახლანდელ შენობას შორის არსებობს რაიმე განსხვავება?“

მოქალაქე, ბატონი **გიორგი ტურაბელიძე**: „ფართობით არანაირი, კონსტრუქციულად კი და გიდევთ დოკუმენტები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რომელი სტრუქტურიდან გქონდათ ნებართვა, რომ შეგეცვალათ კონსტრუქცია?“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე**: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან და არანაირი დარღვევა შეცვლაში არ ყოფილა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „როგორც ვიცი, თქვენ შეხვედრა სთხოვეთ ქალაქის მერს და ვიცე მერებს. მაინტერესებს მათი პასუხი რა იყო.“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „ქუთაისის მერს დავხვდი კართან, მაგრამ დამემალა. ეს დოკუმენტები, რომლებიც თქვენ გიჭირავთ, არის რეალური და არც ერთი მოსამართლე არ დაეჭვებულა მათ რეალურობაში. აზომვითი ნახაზი გაკეთებულია ქუთაისის მერიის დაკვეთით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ნახაზი გაკეთებულია 2012 წლის აგვისტოში, ანუ საბუთი, რომელმაც ხელი შეგიშალათ ქონების დარეგისტრირებაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა): „ჩვენი არაფერი არ მოგწონდათ და მაინცა და მაინც ეს დოკუმენტი მოგეწონათ?“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე**: „ვინც წინა მთავრობის პერიოდში იყო იურიდიულ სამსახურში ისევ ის ადამიანია დღესაც, ირაკლი გიორგაძე. მათი გაკეთებულია ეს საბუთი და თავისი გაკეთებული საბუთით მებრძვიან დღეს. ბოლო გადაწყვეტილებით იწყება ქუთაისის ცენტრალური ბაღის რეკონსტრუქცია, რომლისთვისაც გამოყოფილია 14 850 ათასი ლარი და აქედან 8 მილიონი უკვე ავანსად აქვს ჩარიცხული ფირმა „დაგს“. ჩემი აზრით, 8 მილიონი ის თანხაა, რომელიც ავანსად არ უნდა ირიცხებოდეს, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია. ამ ფარატინა ქაღალდით, რომელსაც ჰქვია პრეისკურანტი, სასამართლოში მოვიდა ბატონი ირაკლი გიორგაძე და მოითხოვა ჩვენი ქონების სასწრაფოდ დანგრევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აპირებენ ჩვენი სისხლის სამართლის დევნის დაწყებას. ამასთან დაკავშირებით მოგვწერა ქალაქის მერმა. ამ დოკუმენტის მიხედვით ქალაქის ცენტრალურ ბაღში ინგრევა კაფე, იყრება ასფალტის საფარი და შენდება სამი სტადიონი. თუ ეს საბუთი არასწორია, მაშინ სასამართლოს ეს დოკუმენტი არ უნდა მიეღო. ირაკლი გიორგაძემ და ვლასი გარდაფხაძემ თაღლითურად მოიტანეს ეს დოკუმენტი და სასამართლო დაარწმუნეს კაფე-ბარ „სავანეს“ სასწრაფოდ დანგრევის აუცილებლობაში. ამ დოკუმენტის სასამართლოში წარმოდგენის უფლება მერიის თანამშრომლებს არ ჰქონდათ. სწორედ ამისთვის ვარ მე დღეს მოსული. ირაკლი გიორგაძე გვიმტკიცებს, რომ შენობას, რომელიც 30 წელზე მეტია დგას, საძირკველი არ აქვს. ჩვენ გვართმევენ ქონებას და როგორ ფიქრობთ ბატონო ირაკლი, ეს ნორმალურია? მე ვეძებ მხოლოდ სამართალს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მესმის თქვენი და მზად ვარ ნებისმიერი ურთიერთობებისთვის. თქვენ სოციალურ გვერდზე გამოაქვეყნეთ განცხადება, რომ თითქოს მიმართეთ საკრებულოს თავმჯდომარეს და მან მოგწერათ პასუხი. თქვენ საკრებულოს თავმჯდომარისთვის არ მიგიმართავთ და არც თქვენ ადვოკატს არ მოუმართავს. თქვენ მიმართეთ ქალაქის მერს და მან, მთხოვა პოზიციის დაფიქსირება. მე ვუპასუხე ქალაქის მერს და არა თქვენ. თქვენ გიპასუხათ ქალაქის მერმა და არა მე. თუ თქვენ საკრებულოსგან ითხოვთ თქვენი ქონების აღიარებას, კიდევ გიმეორებთ, რომ ეს არ არის საკრებულოს კომპეტენცია. მერმა მკითხა შეიძლება თუ არა ძირითადი განუსხვისებელი ქონების

გასხვისება სკვერის ნაწილში და ვუპასუხე რა შეიძლება სამართლებრივად. მაშინაც გითხარით, რომ წამობრძანდით ჩემთან კაბინეტში, დავსხდეთ, ვისაუბროთ, მომაწოდეთ თქვენი პოზიციები და რა შეიძლება გააკეთოს საკრებულომ გითხარით. შემიძლია ეს დოკუმენტები დავიტოვო და გავიაროთ. სამართლებრივ სიღრმეებში ვერ შევალ. საკუთრების უფლების აღიარება შეუძლია ორ სტრუქტურას: საჯარო რეესტრს და სასამართლოს. სასამართლო გადაწყვეტილება როგორც ვიცი, არსებობს. მე თუ მთხოვთ, რომ კერძო საკუთრება გიღიაროთ, გეტყვით, რომ ვერ გიღიარებთ, ამხელა უფლებამოსილება არ მაქვს. მე შემიძლია მოგცეთ ერთი პირობა, რომ იმ სკვერში არც ერთი პირობით არ იქნება სტადიონი.“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „მე გთავაზობთ, მოუხსნათ სკვერის სტატუსი ბაღის იმ კონკრეტულ ნაწილს, რომელზეც მდებარეობს კაფე-ბარი „სავანე“, როგორც საპირფარეშოს შემთხვევაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩემი წინადადებაა ვუშუამდგომლოთ ამ ადამიანებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-12 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 12:42:21 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.